საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის სხდომის

ოქმი N1

9.1.2014.

ესწრებოდნენ:

თავმჯდომარე: იულონ გაგოშიძე

მდივანი: მანანა ფირანიშვილი

წევრები: კახა კახიანი, ზურაბ მახარაძე, გურამ კვირკველია, ზვიად ბატიაშვილი.

მოწვეული არქეოლოგები: ვახტანგ ჯაფარიძე, გოდერძი ნარიმანიშვილი, ნიკოლოზ ტუშაბრამიშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, გურამ ლორთქიფანიძე, გურამ გრიგოლია, პაატა გაფრინდაშვილი.

განსახილველი საკითხი:

1. ბოლნისის მუნიც. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშის განხილვა (2013წ. 21 ოქტომბერი - 12 ნოემბერი)

განიხილეს:

1.ბოლნისის მუნიც. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (2013წ. 21 ოქტომბერი - 12 ნოემბერი)

აზრი გამოთქვეს:

ი. გაგოშიძემ: უარყოფითი შეფასება, ანგარიშიდან ჩანს, რომ ძეგლი არ არის მთლიანად შესწავლილი, რასაც მოითხოვდა არქეოლოგიური გათხრების პროექტი და რაზეც იყო გაცემული ნებართვა.

კ. კახიანმა: უარყოფითი შეფასება, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით არქეოლოგიური ობიექტი სრულიად შესწავლილი არ არის. საჭიროა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, სრულიად შესწავლის შემთხვევაში შეიძლება თანხმობის მიცემა.

ზ. მახარაძემ: უარყოფითი შეფასება, ანგარიშში წარმოდგენილი სამუშაო არანაირად არ ადასტურებს რომ ძეგლი შესწავლილია. ამის საფუძველზე უძველესი ოქროს მაღაროს დანგრევა დაუშვებელია.

წინააღმდეგი ვიყავი საექვო შპს-თვის ნებართვის გაცემის. არაკვალიფიციურად შესრულებული სამუშაოს შედეგად სიყალბეა, რომ თითქოს ძეგლი შესწავლილია.

გ. კვირკველიამ: უარყოფითი შეფასება, საბოლოო დასკვნა ტენდენციურია და ვერანაირად ვერ ცვლის შეხედულებას, რომ ობიექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს.

ზ. ზატიაშვილმა: უარყოფითი შეფასება, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე შპს "არქეოლოგიური გაერთიანების" მიერ წარმოებული კვლევა-ძიების ანგარიში სრულიად არ პასუხობს ამავე შპს-ს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გაწერილი გეგმის მოთხოვნებს, რომელზე დაყრდნობითაც სააგენტომ გასცა ნებართვა. ასევე არ არის სრულიად და ამომწურავად შესწავლილი ბორცვზე მდებარე უძველეს "შტოლნებში" არსებული კულტურული ფენები. აუცილებელია აღნიშნული ფენების შესწავლა.

მოწვეული არქეოლოგები

ვ. ჯაფარიძემ: უარყოფითი შეფასება, ძეგლის შესწავლა არ არის დასრულებული. საჭიროა ძეგლის აჭამინდელი დაზიანება შეწყდეს და დაიგეგმოს შემდგომი კვლევები საერთაშორისო კონტრაქტის საფუძველზე.

გ. ნარიმანიშვილმა: უარყოფითი შეფასება, წარმოდგენილი ანგარიში სრულიად ვერ ასახავს საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი საბადოს ხასიათს, მნიშვნელობას და ღირებულებას. ეს ანგარიში ვერ აბათილებს ქართულ-გერმანული ექსპედიციის ნიერ ჩატარებული სამუშაოების მონაცემებს. ამდენად, განსახილველი ანგარიში არ შეიძლება შეფასდეს დადებითად.

ნ.თუშაბრამიშვილმა: ანგარიშის დიდი ნაწილი მიასალებია. შენიშვნა მაქვს ძეგლის სრულიად შესწავლასთან დაკავშირებით. ვფიქრობ მეტი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო წინა ექსპედიციის მიერ შესწავლილ ფენებზე უშუალოდ მაღაროში.

რეკომენდაცია - ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები თვით შახტებში კომპეტენტური ჯგუფის მიერ.

ზ.თვალჭრელიძემ: უარყოფითი შეფასება, ძეგლი შესწავლილია ნაწილობრივ - საჭიროა არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება.

გ. ლორთქიფანიძემ: არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შპს "არქეოლოგმა" დაკისრებული საველე სამუშაოები ჩაატარა, საჭიროა სამუშაოები გაგრძელდეს იქ სადაც უძრავი კულტურული ფენები აქვს დადასტურებული გერმანული-ქართულ ექსპედიციასთან ერთად, რაც შეიძლება მალე.

გ. გრიგოლიამ: არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი იქნა საყდრისის ბორცვის თხემი და ბორცვის შემოგარენი. გათხრები მაღაროს ტერიტორიას არ შეხებია. მაღაროს უნდა აღუდგეს სახელმწიფო ძეგლის სტატუსი და უნდა გაგრძელდეს მისი შესწავლა კომპეტენტური წევრებით (არქეოლოგები, გეოლოგები, სამთოელები და ა.შ.)

პ.გაფრინდაშვილმა: წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს სანებართვო პირობას, აქვე მიმაჩნია, რომ არქეოლოგიურად ობიექტი უნდა იყოს ბოლომდე შესწავლილი.

დასკვნა: საბჭოს მიაჩნია, რომ ბოლნისის მუნიც. საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შპს "არქეოლოგთა გაერთიანების" მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (2013წ. 21 ოქტომბერი - 12 ნოემბერი) <u>არ არის სრულყოფილი და უნდა გაგრძელდეს ობიექტის არქეოლოგიური შესწავლა.</u>

სხდომის თავმჯდომარე ი. გაგ იულონ გაგოშიძე

მდივანი მანანა ცირანიშვილი